

| | |
|----------------|---|
| დამტკიცებულია: | დადგენილების # და თარიღი |
| | შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება N17 20.12.2018 |

წარმატებულ სტუდენტთა წახალისების, სოციალურად მოწყვლადი და სხვადასხვა ფინანსური საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის ფინანსური დახმარების გაწევის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ამ წესით რეგულირდება შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისადმი ფინანსური მხარდაჭერის გაწევის პროცესი, რომელიც ორი სახით ხორციელდება: 1. წარმატებული სტუდენტებისთვის სტიპენდიების დანიშვნა; 2. სოციალურად მოწყვლადი და სხვადასხვა ფინანსური საჭიროების მქონე სტუდენტების ფინანსური დახმარების გაწევა.

მუხლი 2. წარმატებული სტუდენტებისთვის სტიპენდიების დანიშვნა

1. წარმატებულ სტუდენტებისთვის სტიპენდიის დანიშვნა ხდება ყოველსემესტრულად მიღწეული შედეგების საფუძველზე და მოქმედებს ერთი სემესტრის მანძილზე.
2. სტიპენდიის მიღების შესაძლებლობა აქვთ იმ სტუდენტებს, რომელთა სემესტრული GPA არის მინიმუმ 3.7; მონაწილეობა აქვს მიღებული სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაში და სხვა საუნივერსიტეტო აქტივობებში (სპორტი, ხელოვნება, ლიტერატურა და სხვა).
3. სასწავლო სემესტრის დასაწყისში ცხადდება სტიპენდიებისთვის რეგისტრაციის ვადები. სტუდენტები ნიშნების ფურცელსა და აქტივობების დამადასტურებელ დოკუმენტაციას განცხადებასთან ერთად წარადგენენ დეკანატში.
4. სასწავლო სემესტრის დასაწყისში ფაკულტეტის დეკანი ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს სტიპენდიების სიას. სტიპენდიანტების შერჩევას ახორციელებს ფაკულტეტის საბჭო, რის შედეგადაც გამოიცემა რექტორის ბრძანება.
5. ფაკულტეტის საბჭოს ოქმის საფუძველზე სემესტრის დასაწყისში რექტორი გამოსცემს ბრძანებას წარჩინებულ სტუდენტთა წახალისების (საუნივერსიტეტო სტიპენდიების გაცემის) თაობაზე.

მუხლი 3. სხვადასხვა ფინანსური საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის ფინანსური დახმარების გაწევა

1. სხვადასხვა ფინანსური საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის ფინანსური დახმარების გაწევის ფორმას წარმოადგენს სწავლის ტარიფზე შეღავათის გაკეთება.
2. სწავლის ტარიფზე შეღავათი განისაზღვრება სოციალურად დაუცველი ოჯახების შვილებისთვის (მ.შ ობოლი, მრავალშვილიანი), დედამამისშვილებისთვის და ჯანმრთელობის პრობლემების მქონე სტუდენტებისთვის.
3. ფინანსური შეღავათის თითოეული შემთხვევა განიხილება და ტარიფი განისაზღვრება ინდივიდუალურად.

4. ფინანსური შეღავათის თხოვნით სტუდენტი განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს (შესაბამისი დოკუმენტაციის დართვით). რექტორი ადმინისტრაციასთან განხილვის შემდგომ გამოსცემს შესაბამის ბრძანებას.